№ 128 მთავრობის მოამგე

საქართველოს რესპუბლიკა

უოველდღიური გაზეთი

წელიწადი მესამე

ფასი 3 მან. პარასკევი, ივნისის 11 1920 წ.

მთავრობის მოამბე, უოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 8 მან. 4-ხე გვ. 6 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 150 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. სასამართლ. უწყ. განცხადება. ნი 40 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20%. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—8.

სილნაღის საჭაზრო საერობო ხმოსანთა ყრილობის პრეზიდიუმი

მით აცხადებს, რომ ამა წლის ივნისის 30-ს (ახ. სტ.) მოწვეულია ქ. სიღნაღში, საერობო ამგეობის ბინაზედ სამაზრო საერობო ხმოსანთა მე-4 ყრილობა. განსახილველია შემდეგი საკითხები:

1. მოხსენება საერობო გამგეობისა, წარსული წლის მოქმედების შესახებ.
2. 1920 წ. სავარაუდო შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხის განხილვა და დამტკიცება
3. ლაგოდეხის უბნის მომრიგებელ მოსამართლის არჩევა,
4. თანახმათ 11 ივლისის 1919 წ. კანონისა, უძრავ ქონებათა იძულებით ჩამორთმევის შესახებ.
5) საერობო გამგეობის წევრთა, ი. ზ. კრაწაშვილის და ს. დ. ნატროშვილის განცხადებანი თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.
6. მიმდინარე საკითხები.

პრეზიდიუმი სთხოვს ყველა ხმოსანს უეჭველად დაესწრნენ ყრილობას. 630 5—2

მომარაგების კომიტეტის და მომარაგების სამინისტროს

გაერთიანების გამო, ყველა დაწესებულებანი და კერძო პირნი რომელთაც რაიმე ანგარიშები აქვთ მომარაგების კომიტეტთან, კეთილ ინებონ და გამოცხადდენ შემდეგი მისამართით: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა № 133, არა უგვიანეს მიმდინარე თვის 20 რიცხვისა და გაასწორონ ყოველგვარი ანგარიშები: იმ დაწესებულებათა და კერძო პირთ, რომელთაც ნებადართული აქვთ საწყობებიდან რაიმეს მიღება,—მიმდინარე თვის 15 რიცხვამდე, რის შემდეგ ყოველგვარი ნებართვა გაუქმებულ იქნება. 1410 1—1

ოფიციალური განყოფილება

გრძანება

ქ. ტფილისის კომენდანტისა.

9 ივნისი, 1920 წ., № 5.

1.

ვაცხადებ საყურადღებოთ, რომ იუსტიციის სამინიმტროს სადარაჯო ათასეული ირიცხება ტფილისის გარნიზონის ჯარის შემადგენლობაში.

2.

წინადმდეგ მოთხოვნილებისა სტ. სტ 3 და 275 შინა სამსახურის წესდებისა ქალაქში დადიან ჯარის კაცები უსაბუთოთ, მოუხდენათ და არა ფორმაზე ჩაცმულნი. უბრძანებ კომენდანტის სამმართველოს პირებს სასტიკათ თვალ-ყური ადევნონ ასეთებს და ყველა ჯარის კაცები, რომელთაც არ ექნებათ პირადობის ნიშნები, ანუ შვებულების ბარათი და აგრეთვე ვინც არა ფორმაზე იქნება ჩაცმული, წარმოდგენილ იქნას საკომენდანტო სამმართველოში.

3.

ჩემს მიერ მიქცეულია ყურადღება იმაზე, რომ ზოგიერთი ჯარის კაცები ატარებენ სხვა და სხვა სისტემის რევოლვერებს. კატეგორიულათ უკრძალავ რა მათ ტარებას მათთვის მიუთვისებელ იარაღისას, ვაცხადებ, რომ ჯარის კაცები შემჩნეულნი ამის აუსრულებლობაში იქნებიან დაპატიმრებულნი და რევოლვერები კი ჩამოერთმევათ ხაზინის სასარგებლოთ.

4.

ქალაქში ხშირათ ჩნდებიან სახელმწიფო ჩაცმულობაში პირნი, რომელნიც არც ერთ ჯარის ნაწილს არ ეკუთვნიან და არა აქვთ არავითარი ნება მგზავს ჩაცმულობისა. ვაფრთხილებ, რომ ასეთი პირები სასტიკათ დევნილნ იქნებიან და დაპატიმრებისთანავე ყველა სახელმწიფო ქონება ჩამოერთმევათ.

5.

ზოგიერთი სამხედრო პირნი,ჩნდებიან რა ეროვნულ ტანისამოსში (ჩოხაში) ატარებენ მასზე სამხრეულებს. ვინაიდან ქართულ ლაშქარში მგზავსი ფორმა არ დაწესებულა, ამიტომ ვბრძანებ ჩოხიდგან დაუყონებლივ მოხსნილი იქნას სამხრეულები.

ქ. ტფილისის კომენდანტი, გენერალი
მიქაშავიძე.

განკარგულებანი

სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგისა.

16 მარტი, 1920 წ., № 42.

მიენიჭოს: ქუთაისის ქალთა წმ. ნინოს გიმნაზიის მასწავლებელს ტერენტი ყურაშვილს მსოფლიო ისტორიის საშუალო სკოლის მასწავლებლის წოდება და დამტკიცდეს ამავე თანამდებობაზე 1920 წლის 1 იანვრიდან.

16 მარტი, 1920 წ. № 43.

ჩაეთვალოს სახელმწიფო სამსახურში ხუთწლეულებისა და პენსიის მისაღებად: ტფილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის ხატვის მასწავლებელს ანასტასია გიორგის ასულს ქიქოძისას საპედაგოგიო ასპარეზზე ნამსახური წლები 1911 წლის 22 ნოემბრიდან 1918 წლის პირველ ოქტომბრამდე.

16 მარტი 1920 წ., № 45.

მიენიჭოს: ფოთის ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებელს გრიგოლ გორგაძეს საშუალო სკოლის მასწავლებლის წოდება ქართულ ენასა და საქართველოს ისტორიაში და დამტკიცდეს ამავე თანამდებობაზე 1920 წლის 1 მარტიდან.

16 მარტი, 1920 წ. № 44.

მიენიჭოს: ქუთაისის ქალთა წმ. ნინოს გიმნაზიის მასწავლებელს შალვა ტრიფონის ძე თაბუკაშვილს საშუალო სასწავლებლის მასწავლიბლის წოდება ქართულ ენაში და დამტკიცდეს ამავე თანამდებობაზე 1920 წ. 1 მარტიდან.

16 მარტი 1920 წ. № 46.

მიენიჭოს: ქუთაისის ქალთა წმ. ნინოს გიმნაზიასთან არსებულ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებელ ანნა ჩარკვიანის ასულს უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის რუსულ ენის მასწავლებლის წოდება და დამტკიცდეს ამავე თანამდებობაზე 1920 წ. 1 მარტიდან.

16 მარტი, 1920 წ., № 47.

მიენიჭოს: ქუთაისის ქალთა წმ. ნინოს გიმნაზიასთან არსებულ უმაღლეს დაწყებით სასწავლებლის მასწავლებელს ელენე წულუკიძის ასულს უმაღლეს დაწყებით სასწავლებლის მასწავლებლის წოდება რუსულ ენაში და დამტკიცდეს ამავე თანამდებობაზე 1920 წლის 1 მარტიდან.

№ 48.

მიენიჭოს: ხონის ქალთა გიმნაზიის მასწავლებელს პოლიკარპე ბახტაძეს საშუალო სასწავლებლის მასწავლებლის წოდება მათემატიკაში და დამტკიცდეს ამავე თანამდებობაზე 1920 წლ. 1 იანვრიდან.

26 მარტი, 1920 წ. № 49.

დაინიშნოს: ბათუმის ქართულ გიმნაზიის ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებლად, როსტოვის რეალურ სასწავლებლის ყოფილი მასწავლებელი დანიელ რომანოზის ძე ქინჭლაძე მიმდინარე წლის 16 მარტიდან.

1 აპრილი, 1920 წ., № 50.

დაინიშნოს: ტფილისის ვაჟთა მე-3 გიმნაზიის მასწავლებელი ონიფანტე გამზარდია, ახალ-სენაკის ვაჟთა გიმნაზიის ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებლად მიმდინარე წლის 1 აპრილიდან.

16 მარტი, 1920 წ., № 51.

მიენიჭოს: ქუთაისის ქალთა წმ. ნინოს გიმნაზიის მასწავლებელს მარიამ ოტიას ასულს ლორთქიფანიძისას საშუალო სასწავლებლის მასწავლებლის წოდება რუსულ ენაში და დამტკიცდეს ამავე თანამდებობაზე 1920 წლის 1 მარტიდან-

განათლების მინისტრის ამხანაგი
ნ. ციწაძე.

—

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი.

8 ივნისი, 1920 წ. № 190.

დაინიშნოს: სავაჭრო მცირე განყოფილების საქმის მწარმოებლის თანაშემწე ალექსანდრე სტეფანეს ძე მღებრიშვილი იმავე განყოფილების საქმის მწარმოებლად ამა წლის 1 ივნისიდან.

5 ივნისი, 1920 წ., № 189.

დანიშნულ იქმნას: ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ყოფილი მდივანი ლევან ალექსანდრეს ძე წერეთელი ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებლად ამა 1920 წ. 1 მარტიდან.

5 ივნისი, 1920 წ., № 187.

დაევალოს: ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებელს ნესტორ გრიგორის ძეს ღამბარაშვილს საავიციო სამმართველოს უფროსის თანაშემწის მოვალეობის დროებით ასრულება ამა 1920 წლის 1 ივნისიდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი
ხ. ავალიანი.

—

შეცდომის გასწორება.

გუშინდელ ჩვენი გაზეთის ოფიციალურ განყოფილებაში შემდეგი კორექტურული შეცდომა იყო: ჭრებალოს უბნის მომრიგებელ მოსამართლის განკარგულებას ხელმოწერილი ჰქონდა: „ნინა გოცირიძე“ უნდა ყოფილიყო: „მინა გოცირიძე“.

არა ოფიციალური განყოფილება

დამფუძნებელი კრება

8 ივნისის სხდომა

(გაგრძელება)

ბ. თევზაია. ამ კითხვის გამორკვევამ მიიღო არა სასურველი ხასიათი. შეკითხვას დაურთეს ყოველივე ის, რაც მომხდარა ამ ორი წლის განმავლობაში. არსად არ ყოფილა შემთხვევა, რომ არა თუ თქვენ მსგავს მემარცხენეებს, არამედ ნამდვილ მემარცხენეებსაც მოეთხოვნათ ფულის ნიშნების ბეჭდვა რეფერენდუმის საშუალებით უნდა ტარდებოდესო. მოწინააღმდეგეს რომ ეთქვა ეს ემისიის შესახებ გასაგებია, მაგრამ მან რეფერენდუმი მოითხოვა ბეჭდის შესახებაც.

ეს ალბად აიხსნება მით, რომ ის კითხვა, რომელსაც ისინი ეხებიან მათთვის სრულიად გაუგებარია. აქ სთქვეს, ფულები მაშინ დაიბეჭდა, როდესაც კომუნისტები უახლოვდებოდენ საქართველოსო. აქ მათ ვიღაცაზე რაღაც ეჭვი შეიტანეს. ასეთ ორ აზროვან სიტყვების თქმა არ არის საკადრისი დეპუტატისათვის. ლ. შენგელაიას და მის ამხანაგებს რუსეთთან დადებული ზავი ძლიერ აწუხებთ.

ოპოზიცია შეეხო ყველა დაწესებულებებს და განსაკუთრებით მომარაგების სამინისტროს, რომელსაც უკიჟინებდენ, რომ ანგარიში არ წარმოგვიდგინესო. ამას განზრახ სჩადიან, სურთ წინდაწინვე გაუფუჭონ სახელი ამ დაწესებულებას. ეს არ არის დემოკრატიული ბრძოლა, ასეთი ბრძოლის მეთოდები სამარცხვინოა. თქვენ ორ მცნებას ერთიმეორეში ურევთ. ვერ გაგირჩევიათ რა განსხვავებაა ფულის ბეჭდის და გამოშვების შორის. არ იცით, რომ ეს სხვა და სხვა მცნებაა, როგორც ეკონომიურად აგრეთვე იურიდიულად.

უდავოა ის დებულება, რომ როდესაც გამოშვებულ ქაღალდის ფულის ნიშანი წახდება, ხაზინამ ნაცვლად დაგლეჯილებისა ახალი ნიშნები უნდა გამოუშვას. ამისათვის არავითარი ემისია არ არის საჭირო. ამით ფულის რაოდენობის რიცხვი არ გამრავლებულა და ამიტომაც არავითარი საბიუჯეტო უფლებები დამფუძნებელ კრების არ არის დარღვეული, როგორც ამას ბრძანებენ ესერები.

აქ სთქვეს უცხო ვალიუტის საფუძველზე საკუთარ ვალიუტის შექმნა არ შეიძლებაო. მაგ. ინგლისმა მოგვცა 5 მილ. სტერლინგი. ამ სტერლინგის საფუძველი ინგლისის მეურნეობაა და ამაზე ვალიუტის შექმნაც შეიძლება. თუ ის სახელმწიფო, რომლის ვალიუტაზედაც შეიქმნება ჩვენი ვალიუტა დაინგრა, ჩვენი ფულის კურსი დაეცემა, თუ ის აღორძინების გზაზე დადგება, ჩვენი კურსი მაგარი იქნება. ეს უბრალო საანბანო ჭეშმარიტებაა და მგონია ეს უნდა ესმოდეს შემკითხველებს.

ასეთი შეკითხვები ბირჟევიკებისათვის არის სასარგებლო. საფრანგეთში ხშირათ მიმართავდენ ხოლმე ბურჟუაზიული პარტიები ასეთ შეკითხვებს და ამით აქვეყნებდენ თავიანთ წრის ბირჟევიკების საქმეს. მხოლოდ არ ყოფილა იქ შემთხვევა, რომ სოციალისტურ პარტიებს შეეტანათ ისეთი შეკითხვა, რომელიც სასარგებლო გამოდგებოდა სპეკულიანტებისათვის. შემდეგ ორატორს მოჰყავს მაგალითები საფრანგეთის ცხოვრებიდან, რითაც ამტკიცებს, რომ სოციალისტურ პარტიებს ხშირად ჰქონიათ ხელში ისეთი საბუთები, რომ ადვილად გამოიყენებდენ პოლიტიკურ ბრძოლისათვის, მაგრამ არ მიმართავდენ ხოლმე, რათა იცოდენ რა შედეგები მოჰყვებოდა ასეთ შეკითხვებს. ამგვარ შეკითხვებით ჰქმნიან პანიკას. მე არ ვიტყვი, რომ ესენი შეგნებული აგენტები იყვნენ ბირჟევიკების, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ბრმა იარაღათ იყენებს ისეთი ხალხი, რომელთაც სრულიად შეუგნებლად იცავს ბ. ნუცუბიძე. (ტაში)

სპ. კედია. მე არ ვიყავი მომხრე, რომ ასეთი შეკითხვა შემოეტანათ, მე მეგონა შეკითხვის ავტორნი შეეცდებოდენ სხვა გზით შეეტყოთ საქმის ვითარება, მაგრამ რახან ეს მოხდა, საჭიროა ეს საკითხი მთელი თავის სიცხადით გამოაშკარავდეს.

ორატორს საჭიროთ მიაჩნია ამ საკითხის განმარტება, რადგანაც იგი ზოგიერთათვის გამოურკვეველიაო. არ არის სასაყვედურო ის ტემპერამენტი, რომელიც აქ გამოიჩინეს ამ საკითხის გარკვევის დროს. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც დეპუტატები იცავენ დამფუძნებელ კრების უფლებებს და ეს დადებით ნაყოფს გამოიღებს და ბევრ შეცდომას აგვაცდენს. ორატორი ნაციონალ დემოკრატების ფრაქციის სახელით მწუხარებას აცხადებს, რომ ეს შეკითხვა იქნა შემოტანილი, რომელსაც ზარალის მეტი არაფრის მოტანა არ შეუძლიანო.

ხ. ავალიანი. (ფინ. მინ. ამხ.) წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ საზღვარ გარეთ შეგვეტანა ფულის ნიშნების ბეჭდა. მაგ. არგენტინა 50 წელიწადია, რაც თავის ფულის ნიშნებს იტალიაში ბეჭდავს და არ ყოფილა შემთხვევა, რომ არგენტინის მთავრობას ამის უფლება გამოეთხოვნა პარლამენტისათვის. კერენსკის მთავრობაც ბეჭდავდა ფულს პენზაში. აქედან თქვენ ნათლად დაინახავთ, რომ ფულის ნიშნების დაბეჭდა ეს უბრალო ტეხნიკური საქმეა და ამისათვის საჭირო არ არის კანონმდებლობითი ორგანოს დასტური.

მერე იწყება ემისია, რაც ნიშნავს მას, რომ დაბეჭდილი ნიშნები, ფულად იქცევა მაშინ, როდესაც ეს დაკანონდება კანონმდებლობითი გზით. ყოველივე სახელმწიფო წინასწარ

უნდა ეწეოდეს თადარიგს და ემისიისთვის მზად იყოს. აქ სთქვეს ბოლშევიკების მოახლოვებისას შეუდგნენ ბეჭდასო. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. ჩვენ ხომ არ ვიცოდით წინასწარ, რომ ასე მალე გათავდებოდა ომი, რომელიც ზედ მეტ ხარჯებს იწვევს, ემისია დაგვჭირდებოდა და წინასწარ უნდა გვქონოდა ნიშნები დამზადებული, რათა ანარქია არ მომხდარიყო. რაც შეეხება იმას, რომ ის რაც ხაზინაში შედის ფულათ იქცევაო, ეს არ არის ასე. ხაზინაში შეგიძლიანთ თქვენ დაბეჭდილი ყუთი მიიტანოთ შესანახათ, რომელშიაც შეიძლება აგურებიც ეწყოს; ხაზინა მას შეინახავს და ეს არ ნიშნავს მას, რომ ყუთში რაც აწყვია ფულათ იქცევა ხაზინაში, ნიშნების შენახვა არ ხდის მას ფულათ.

შემდეგ ორატორი აღნიშნავს თუ საიდან შესდგა ის ფული, რომელიც დაიხარჯა. ეს იყო ძველი ემისიის ნაშთი, რკინის გზიდან შემოსული 180 მილ. სხვა შემოსავალი 254 მილ. 245 მილ. მან. დაფლეთილი ბონების შეცვლა. ყოველივე ამან მისცა სახელმწიფოს საშუალება ახალ ემისიით დაეფარა საჭირო ხარჯები. ეს იყო საკრედიტო ოპერაცია, რომლის უფლებაც აქვს აწარმოოს ფინანსთა მინისტრს. თქვენ ციფრებით რწმუნდებით, რომ ემისიის გარეშე ერთი კაპეიკიც არ დახარჯულა და ასეთი უსაფუძვლო შეკითხვებს ბაზარი თავისებურათ გასცემს პასუხს, რაც არ იქნება სასარგებლო ჩვენთვის. (ტაში).

ილ. ნუცუბიძე ეხება ამ საკითხს და აღნიშნავს, რომ ექსპედიციაში მომუშავენი არა ჩვეულებრივ ჯამაგირებს იღებენო. ზოგი დღეში 1.000 მან. იღებსო და სხვა. ორატორი კვლავ იმეორებს თავის პირველ სიტყვის დებულებებს.

დ. თოფურიძე. აქ სოციალისტ-რევოლიუციონერებმა იმდენი რამ ბრძანეს, რომ ჩვენ იძულებული ვხდებით კვალ და კვალ მივდიოთ და დაუმტკიცოთ მათ, თავიანთი შეცდომა. რა სურდათ დაემტკიცებინათ შემკითხველებს. პირველი ის, რომ სამინისტრომ ჩაიდინა სიყალბე და დამფუძნებელ კრების დაუკითხავად დაბეჭდა ფულის ნიშნებიო და მეორე ბრალდება ემისიის გარეშე გამოუშვეს ფულები ბაზარზეო ტ დამნაშავენი სისხლის სამართალში უნდა იქნან მიცემულნო. პირველი კითხვაა დაბეჭდეს თუ არა ემისიაზე მეტი. დაბეჭდეს მაგრამ ეს ხომ ელემენტარული მცნებაა, რომ სამინისტროს ჰქონდა უფლება წინასწარ დაემზადებინა ფულის ნიშნები. აქ ამის შესახებ ილაპარაკა სოც.-ფედერალისტების ორატორმა გრ. რცხილაძემ, რომელმაც ასეთივე აზრი გამოსთქვა, რასაც ჩვენ ვამბობთ ტ აღნიშნა, რომ სამინისტროს ჰქონდა სრული უფლება დაებეჭდა ფულის ნიშნები. სამწუხაროა, რომ დამფუძნებელ კრებაში ასეთ ელემენტარულ კითხვის შესახებ გვიხდება ამდენი კამათი. ყველასათვის ცხადია, რომ დაბეჭდილ ნიშნებს ფულის ძალა ეძლევა მხოლოდ სათანადო კანონით. ბეჭდვა ფულის ეს არის ქარხნის მუშაობა და ქარხნებში ხომ წინასწარ უნდა მზადდებოდეს ზედმეტი საქონელი, რომ საჭიროებისამებრ გამოუშვან ბაზარზე. აქ ბრძანეს 800 მილ. მეტი საიდან დახარჯესო. და თუ ჩვენ მივმართავთ ციფრებს დავრწმუნდებით, რომ ემისიის გარეშე ერთი კაპეიკიც არ დახარჯულა. 245 მილ. გაფუჭებულ ბონების სამაგიეროთ იყო გამოშვებული აპრილში. მაის. ში შემოვიდა კასაში 254 მილ. მან. რკინის გზიდან 180 მილ. ძველი ემისიიდან 142 მილ. და თუ ამას შეუერთებთ დაინახავთ თუ საიდან დაიხარჯა 800 მილ. მან. მეტი ფული. ორატორი ეყრდნობა რა ზემო მოყვანილ ციფრებს ამტკიცებს შეკითხვის სრულ უსაფუძვლობას.

კამათი შეწყდა. მიღებულ იქნა სოც. დემ. ფრ. შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა დამფუძნებელმა კრებამ სოც.-რევოლიუციონერთა ფრაქციის შეკითხვა ფინანსთა მინისტრის მიერ საემისიო უფლების დარღვევის შესახებ, დამაკმაყოფილებლათ სცნობს მთავრობის განმარტებას და ადასტურებს, რომ ხსენებულ დარღვევას ადგილი არ ჰქონია და გადადის მორიგ საკითხზე.

სამხედრო ცნობა

ტფილისი, ივნისის 10.

აგარაკ ბახმაროს სამხრეთ-აღმოსავლეთით ზოტი-ყელის რაიონში აჭარლების ბანდა ჩვენს საზღვრებში შემოიჭრა. ჩვენმა მოსაზღვრეებმა ბანდას შეუტია და გაფანტა. მოწინააღმდეგეს მოუკლით 6 კაცი, ტყვეთ წამოვიყვანეთ 27. ჩვენ მოგვიკლეს 1 კაცი და დაგვიჭრეს ერთიც, რომელიც გარდაიცვალა.

ცხინვალის მიმართულებით სროლა და მზვერავთა მოქმედებაა. დამატებით მიღებულ ცნობებით ოსების ბანდები ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას ართმევს სურსათ-სანოვაგეს, აჩაღობს და უწესოებას სჩადის.

მიწათ-მოქმ. სამინისტროში

ვეტერინარ-სანიტარული ზედამხედველობა.

თანახმად დამფუძნებელ კრების მიერ მიღებულ 6 აპრილს ამა წლის სამოქალაქო უწყების სავეტერინარო პერსონალის შტატებისა კახეთის რკინის გზაზე სოფ. გურჯაანში, როგორც კვანძს სადგურში დაწესებულია სავეტერინარო ექიმის თანამდებობა.

სახელმწიფო მამულის „ჭიაურის“ გადაცემა.

თანახმად შუამდგომლობისა, მიწათ-მოქმედების სამინისტრომ სიღნაღის სამაზრო ერობას გადასცა სახელმწიფო მამული „ჭიაურის“.

საგარაკო მამულების იჯარით გაცემა.

აბასთუმანის სახელმწიფო მამულები ზვენიგოროდსკისეულ და კრილოვისეული აგარაკები მიწათ-მოქმედების სამინისტრომ იჯარით გადასცა სენაკის სამაზრო ერობას და ქალაქის თვითმმართველობას.

ზარალის გამოკვლევა.

სახელმწიფო მამულთა განყოფილების დადგენილებით სეტყვისაგან დაზარალებულ ნაფარეულის სახელმწიფო მამულის დასახმარებლად ვენახებისთვის მიყენებულ ზიანის გამოსარკვევად გაიგზავნა სპეციალისტი.

სანატორიების მოწყობა.

ივნისის 9-ს მიწათ-მოქმედების სამინისტრომ გაგზავნა სპეციალი კომისია ბორჯომში, აბასთუმანში და ცემში სანატორიების მოსაწყობად. კომისია გამოიმუშავებს საერთო გეგმას და შეადგენს საჭირო ხარჯთ-აღრიცხვას სანატორიუმის მოსაწესრიგებლად.

უცხოეთი

დანიის პარლამენტის არჩევნები.

29 აპრილს ფოლკენტინგში დასრულდა დანიის პარლამენტის არჩევნები; გლეხთა ლიბერალურმა პარტიამ მიიღო 48 მანდატი—სოციალ-დემოკრატებმა—42; კონსერვატორულ პარტიამ—28; რადიკალებმა—17.

შტირია გერმანიას უერთდება.

ვენიდან იტყობინებიან რომ სეიმში, რომელიც შეიკრიფება ერთი კვირის შემდეგ განხილული იქნება შტირიის გერმანიასთან შეერთების საკითხი. როგორც გადმოგვცემენ გაზეთები შტირიის გლეხები მომხრენი ყოფილან რომ გერმანიას შეუერთდნენ.

შვეცია და რუსეთი.

შვეციასა ტ რუსეთ შორის, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ ახლო მომავალში განახლდება ეკონომიური ურთიერთობა.

პირველ მაისის ლეგალიზაცია.

მეკლენბურგში სოციალისტთა ხმის უმრავლესობით (30—22 ბურჟუაზიის წარმომადგენელთა წინააღმდეგ) დაადგინეს პირველი მაისი ჩაითვალოს სახელმწიფოებრივ უქმედ. ასეთივე ლეგალიზაცია მოხდა პირველ მაისის შესახებ ვიურტემბერგში.

კომუნისტები რეიხსტაგში.

ბერლინში რეიხსტაგში კომუნისტების პარტიამ 14 კანდიდატი წამოაყენეს. ამ კანდიდატთა შორის პირველი ადგილი უჭირავს კლარა ცეტკინას; მეორე—კომუნისტურ პარტიის ლიდერს ექმ ლევის.

საერთა-შორისო სოლიდარობა.

შვედელმა მუშებმა მიიწვიეს სამუშაოდ 150 რუსის მუშათა ბავშვები.

რუსეთ-ფინლიანდიის მოლაპარაკება.

გაზ. „ტანი“-ს გადმოცემით რუსეთ-ფინლიანდიის კონფერენციაზე, რომელიც შესდგა რაიოკაში 23-ს აპრილს საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლებს ფინლიანდიისთვის ჩაუბარებიათ ნოტა, რომლითაც რუსეთი შეასრულებს დადებულ პირობებს.

ერობა

გორის სამაზრო ერობაში.

გორის სამაზრო ერობის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს დართოს მას ნება 10 მილ. მან. საობლიგაციო სესხის გამოცემისა. ეს თანხა გორის სამაზრო ერობას ესაჭიროება შემდეგ გადაუდებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. 1) სარწყავ არხების გასაყვან გამოკვლევის მოსახდენად. არხი შესდგება 7 განცალკევებულ რაიონით, შტოების საერთო სიგრძე იქნება დაახლოვებით 200 ვერსტი. გამოკვლევას მოუნდება დაახლოვებით 4 მილ. მან. რაც შეეხება მორწყვის სისტემას, იგი დაფარავს საერთოდ 50000 დეს. მოედანს. მთელი მუშაობის დასრულების მოხდენა შეიძლება 2—3 წლის განმავლობაში.

2) იმ ტყის მხერხავ ქარხნის აღსადგენად, რომელიც წინეთ ეკუთვნოდა ქართველოვს და ახლა კი გადავიდა გორის სამაზრო ერობის ხელში. ტყის მხერხავ ქარხნის წარმოების გაფართოება აუცილებელია თუნდაც იმ მიზეზით, რომ ამას მოითხოვს ხელახლად ასაშენებელი გორი, რისთვისაც საჭიროა ტყის მასალის მიწოდება. ქარხანას ესაჭიროება 2 მილ. მანეთი, 3) სამაზრო სკოლების აღსადგენათ და მათთვის საჭირო ინვენტარის შესაძენად აუცილებელია 2 მილ. მანეთი. 4) მომარაგების ფონდის საბრუნავ თანხის გასაძლიერებლად საჭიროა 2 მილიონ. მან. განზრახულია საობლიგაციო სესხის გამოშვება პატარა კუპიორებში (ას მანეთიდან). ფინანსთა სამინისტრომ სცნო საკითხი მეტად სერიოზულად, და აღნიშნა, რომ სესხის ფორმა არ ეგუება დანიშნულებას. გორის სამაზრო ერობის მიერ აღძრულ საკითხის დეტალური გარჩევა მიენდო სპეციალურ კომისიას.

ახალი ამბები

უღელტეხილის გზა. უღელტეხილის გზის ამხანაგობის გამგეობამ მიმართა გზათა დეპარტამენტის დირექტორს შუამდგომლობით, რომ მან დამფუძნებელ კრების საგზაო კომისიას, გაუგზავნოს თვალსაჩინო მასალები უღელტეხილის გზის შესახებ. გამგეობა თავის შუამდგომლობას ასაბუთებს იმით, რომ თუ დამფუძნებელმა კრებამ დადებითად გადასწყვიტა საკითხი, გამგეობას მოკლე დროში მუშაობის დაწყების შეძლება ექნებაო.

ახალი ფული. მხატვრები ლანსერე, ნიკოლაძე, შალერმანი, შევარდნაძე და ერისთავი ფინანსთა მინისტრის დავალებით შეუდგენ განზრახულ ახალ ფულის ნიშნების, რომელიც დაკავშირებულია საქართველოში ფულის ტრიალის რეფორმასთან, პროექტის შედგენას შემდეგ კუპიორებისათვის: 1, 3, 5, 10, 25, 100, 250 და 500 მან. პროექტში სასტიკად უნდა იქნეს დაცული წმინდა ქართული სტილი.

ბათომი. ინგლისის წრეებში ცნობები მოვიდა, რომ ვრანგელის არმიის დესანტმა აზოვის ზღვაზე მარიუპოლი აიღოო. ეს ქალაქი მოხალისეების, მახნოსა და ბალშევიკების შორის ხელიდან ხელში გადადიოდა. ინგლისური წყაროებიდან იუწყებიან, რომ გენ. ვრანგელის განკარგულებით ტამანის ნახევარ კუნძულზე თვალსაჩინო დესანტი გადმოსხესო.

იტალიასთან ხაჭონლის გაცვლა-გამოცვლა. მომარაგების სამინისტროს ცნობით 8 და 9 ივნისს ფოთიდან ვავიდა უცხოელთა 2 გემი, რომლებმაც საქართველოსთვის ხორბალი მოიტანეს. ერთი გემი დატვირთულია ქვანახშირით (3000 ტონ.) და აბრეშუმის პარკით, მეორე კი შავი ქვით.

საქართველოს მოძრავი შემადგენლობა. ადერბეიჯანსა და საქართველოს შორის ომის დაწყების დროს საქართველოში დარჩა ადერბეიჯანის რკინის გზის ვაგონები: საფოსტო 1, საბარგო 3, პირველი კლასის 2, მესამე 9, მოსამსახურეთა 5, ცისტერნი 12 და საგანგებო 3; ამავე დროს ადერბეიჯანის ტერიტორიაზე დარჩა საქართველოს რესპუბლიკას 230 ვაგონი და 17 ორთქლმავალი. ამ ხანებში სადგ. აქსტაფაში გადასაცემ პუნქტზე ვაგონების შესაკეთებელი 750,000 მანეთის მასალა და $1^1/_2$ მილიონ მანეთის ლითონის სხვა და სხვა მასალა დარჩა.

ჟურნალისტთა შორის. ჟურნალისტების კავშირის გამგეობის მიერ არჩეულმა კომისიამ გამოიმუშავა პროექტი ჟურნალისტებზე გადასახადის შემოღების შესახებ. ამ პროექტს კავშირის გამგეობა შაბათს, 12 ივნისს, განიხილავს.

ქალაქის გადასახადი მცხოვრებთა საჭიროებისათვის. ქალაქის თვითმართველობამ, შრომისა და მცხოვრებთა სოციალურ დამხმარე განყოფილების მოხსენებით დაადგინა: მთელი ქალაქის გასართობებიდან შემოსული გადასახადი მცხოვრებთა სოციალური დახმარების განყოფილებას გადასცეს. აქამდე ამ გადასახადის მხოლოდ 30% იყო გადადებული ამ განყოფილებისათვის. აღნიშნული გადასახადი თვეში 200,000 მან. მეტს იძლევა.

სტენოგრაფიის კურსები. 15 ივნისს იხსნება სტენოგრაფიის კურსები ქართულ და რუსულ ენაზე. კურსებზე პრაქტიკულათ ასწავლიან საპარლამენტო, სალექციო და საკანტორო სტენოგრაფიულ ჩაწერას. კურსების დროებითი ბინა: დავითის ქ., № 36. ჩაწერა და ცნობების მიღება ყოველ დღე, გარდა უქმისა 5—6 საათამდე.

სასწავლებელში. რესპუბლიკის ყველა სასწავლებლებში სწავლა 12 ივნისს შესწყდება. შემდეგი კვირის განმავლობაში პედაგოგიური საბჭოები განიხილავენ საკითხს სუსტ მოწაფეების გამოცდების შესახებ. მისაღები და გადასასვლელი გამოცდები დანიშნულია 8 სექტემბრისათვის, სწავლა განახლდება 15 სექტემბერს.

ბორჯომის მინერალური წყაროები. ბორჯომის ქალაქის თვითმართველობამ შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე აღძრა საკითხი, რათა ადგილობრივი მინერალური წყაროები, ელექტრონის სადგური და წყალსადენი, რომელიც ამ ჟამად ბორჯომის სახელმწიფო მამულის განკარგულებაშია, მას გადაეცეს. ამ შუამდგომლობის გამო სპეციალური თათბირის შექმნას ფიქრობენ.

ქალაქის და სოფლის მუშების ჯამაგირები. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ყველა სამაზრო ერობათა გამგეობის და ქალაქის თვითმართველობებს დაუგზავნა სახელმძღვანელოდ ცირკულიარი, რომელშიაც იტყობინება, რომ შრომის სამინსტროსთან შეთანხმებით მუშებისათვის დაწესებულია შემდეგი საშუალო მინიმალური ჯამაგირი: ქალაქის—2700—3000 მან. თვეში; სოფლის—1800—2000 მან. ამ ჯამაგირების მიხედვით ქალაქის მუშების დახმარება უნდა შემოიფარგლოს—1800—2000 მანეთით, სოფლის მუშებისთვის კი—1200—1350 მანეთით. ობლებს, ქვრივებს და ნათესავებს, რომელთაც კანონით აქვთ დახმარების მიღების უფლება, მიეცემათ ასეთი აწეულ ნორმების მიხედვით.

რუსთა ეროვნულ საბჭოში. წარმომადგენელ კიროვის ჩამოსვლის გამო ამიერ-კავკასიის ეროვნულ საბჭოს განზრახული აქვს გადასცეს მას არქივი წარმომადგენლობის ყველა საქმეების და რუს მოქალაქეთა რეგისტრაციის შესახებ. საბჭოს დარჩება მხოლოდ ნაციონალურ უმცირესობის წარმომადგენლობითი ორგანიზაციის უფლება.

საზავო დელეგაციის გამგზავრება. 9 ივნისს 11 საათზე ტფილისიდან სალ-ოღლში გაემგზავრა საქართველოს საზავო დელეგაცია.

მასწავლებელთა კავშირის წარმომადგენელი მთავრობის თავმჯდომარესთან. 9 ივნისს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია ინახულა საქ. მასწავლებელთა კონფერენციის დელეგაციამ, რომელმაც მთავრობის თავმჯდომარეს გააცნო კონფერენციის რეზოლიუცია ყველა ხარისხის მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. ამ რეზოლიუციაში აღნიშნულია მასწავლებელთათვის ჯამაგირის 100 პროცენტით გადიდების საჭიროება. ამ საკითხის გადაწყვეტამდის მიეცეს ერთდროულათ დახმარება თითეულ მასწავლებელს ამ მომატების ანგარიშში 3.000 მ. მთავრობის თავჯდომარე ნ. ჟორდანია მოისმინა კონფერენციის წარმომადგენლების განცხადება და შეძლებისა დაგვარად შეპირდა დაკმაყოფილებას.

კავკავში შესვლის აკრძალვა. ამიერკავკასიის რუსთა ეროვნულ საბჭოში გამოკრულია შემდეგი განცხადება: „თერგის საოლქო რევ. კომიტეტის განკარგულებით განსაკუთრებულ განცხადებამდის ვლადიკავკავში შესვლა აკრძალულია“. განცხადებაზე ხელი მოწერილი აქვს კავკასიის რუსთა ეროვნულ საბჭოს მდივანს.

პროკლამაციები. 6 ივნისს სადგ. ნატანებზე ბათომში ტფილისიდან მომავალ სოფიო პრესმანს აღმოაჩნდა 15 გირვანქა არალეგალური ფურცელი, რომელიც ბათომის კომუნისტური პარტიის სახელით იყო გამოშვებული.

პრესმასის განცხადებით ფუცლები დაუბეჭდიათ ტფილისში და მას იგი ბათომში წასაღებათ ადგილობრივ გაზეთ „კომუნისტის“ ტიპოგრაფიიდან მიულია. მან უარი განაცხადა დაესახელებია ის პირნი, რომლისაგანაც მიიღო ფურცლები და ისიც, ვისთანაც მიჰქონდა მას იგი. მან დაუმატა: ეს ცნობები შეგიძლიათ მიიღოთ ტფილისში მყოფ კომუნისტური პარტიის ცენ. კომიტეტიდანო. პროკლამაციის ერთ ნაწილში არის მოწოდება საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ. ბათომის საქართველოსთან შემოერთებისაკენ ლტოლვას სთვლიან იმპერიალისტურ და ავანტიურ ნაბიჯებათ და წინადადებას აძლევენ საქართველოს მუშებსა და გლეხებს შინაურ და გარეშე იმპერიალიზმის დასამხობათ ხელი

გაუწოდონ საბჭოთა რუსეთს. პროკლამაციის მეორე ნაწილი მიმართულია ინგლისელების წინააღმდეგ.

ბალშევიკების კომისრები. სარწმუნო წყაროების ცნობით 9 ივნისს ზაქათალაში მომხდარა გადატრიალება. ბალშევიკების კომისრები დაპატიმრებულია. შეადგინეს ადგილობრივი მთავრობა. მცხოვრებლებმა საქართველოს მთავრობას მიჰმართეს, რომ მან ზაქათალი დაიკავოს.

ყუჩალი ისპიროვის შეპყრობა. 8 ივნისს დღის 1 საათზე მე 8 უბნის კომისარმა ს. ტ. ბოლქვაძემ დაატუსაღა დანაშაულობის ალაგზე გურგენ ხაჩატურის-ძე ისპიროვი, რომელსაც გაეტეხა ბოქლომი სამარია გრიგორის ასულის მწაკაკანოვის ბინაზე და გამოეტანა სხვა და სხვა ნივთები ღირებული 100.000 მანეთისა. ეს ისპიროვი აღმოჩნდა ის პირი, რომელმაც მალაკანის ქუჩაზე სახლი № 52 ფოცხვერაშვილის ბინიდან გამოიტაცა ოქროული და სხვა და სხვა ნივთები ღირებული 120.000 მანეთისა. დაპატიმრებული დანაშაულებში გამოტყდა და გადაიგზავნა ბრალდებულისამებრ.

პირველ საჭიროების საგნების ფასი. თანახმად სავაჭრო სამრეწველო პალატის მიერ მიღებულ ცნობისა ტფილისის ბაზარზე პირველ საჭიროების საგნებზე შემდეგი ფასი არის: ფუთი პურის ხორბალი—1500 მანეთი, ფხვნილი შაქარი—2800 მან. რაფინადის 3200 მან. ფუთი სიმინდი—1000 მან. ლობიო—600 მან. ბრინჯი 1600—1800 მან. პურის ფქვილი 1600—1800 მან. სიმინდის ფქვილი—1200 მან. ფუთი კარტოფილი—150 მან. ფუთი კომბოსტო—400 მან. ერბო გადამდნარი 220 მან. გირვანქა, კარაქი 200 მ. ყველი 65—75 მან. ასი კვერცხი 650—700 მ. წიწილი 100—120 მან. ხიზილალა 500 მან. კეროსინი—180 მ. ფ., ხარის ტყავი 2400 მ. ცხვრის—150 მან. ასანთი 1000 კოლოფი 3000 მან. მარილი—600 მან. ფუთი. მატყლი გარეცხილი 1800—2000 მან. გაურეცხავი 1100—1200 მან. ჯაგარი გაწმენდილი 20,000 მან. გაუწმენდავი 14,000 მან. ფუთი ბამბა 2,800 მან. კახეთის ღვინო—800 მან.

მუშათა ცხოვრება

საქართველოს პროფ. კავშირთა თათბირი.

თათბირზე წარმოადგინეს საგანგებო მოხსენება საქართველოს პროფ. კავშირთა ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის მოქმედების შესახებ. მომხსენებლათ გამოვიდა შ. აბდუშელი, რომელმაც აღნიშნა, რომ საბჭოს მოქმედება განსაკუთრებით მიმდინარე წლის დასაწყისიდან გაცხოველდაო. სატარიფო პალატის კომპეტენციის, შრომის ხელშეკრულობის, პროვინციაში მომარაგების მოწყობისა და სხვ. შესახებ. ამასთანავე საბჭო ახლო მონაწილეობას ღებულობდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ბათომის საკითხის გამო საბჭომ განსაკუთრებული მოწოდებით მიმართა ინტერნაციონალსა და პროფ. კავშირთა საერთაშორისო ბიუროს. საბჭომ ამგვარივე მოწოდებით მიმართა მათ მაშინაც, როდესაც საქართველოს ბოლშევიკების შემოსევა ემუქრებოდა. ცენტრალურ საბჭოს ჩარევის გამო მრავალი კონფლიქტი და გაუგებრობა იყო მოგვარებული.

ეხლა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაიწყო ყოველმხრივი შესწავლა და განიხილა პროფ. კავშირებისა და მათი წევრების ყოფა-ცხოვრება. კომიტეტი სცემს მუშათა ჟურნალს და ყოველგვარ ზომებს იღებს მუშათა ყოველ მხრივათ გასავითარებლად. დასასრულ მომხსენებელმა აღნიშნა აღმასრულ. კომიტეტის ცუდი მატერიალური მდგომარეობა, რადგანაც საბჭოს საჭიროებისათვის დაწესებულ 5% არ იხდიანო. საბჭოებსა და კავშირებს არ შემოუტანიათ 150.000 მანეთამდეო.

რკინის გზელთა შორის.

რკინის გზელთა პროფ. კავშირმა დაადგინა მოიწვიოს 25 ივნისს რკინის გზაზე მოსამსახურეთა და მუშების კონფერენცია. კავშირის გამგეობის სხდომაზე დაადგინეს აგრეთვე გამოარკვიონ, თუ რამ გამოიწვია ნაწილობრივი გაფიცვა ტფილისის დეპოში. ამ მიზნისათვის მოხდება სპეციალური კვლევა-ძიება. განზრახულია დასაჯონ გაფიცვის მეთაურნი.

კოლექტიური ხელშეკრულება.

სახელოსნოს თვითმართველობამ აცნობა „ნემსის პროლეტარიატის“ პროფ. კავშირის გამგეობას, რომ ქალების, კაცების და სხვ. სახელოსნოების მწარმოებლებმა უარი განაცხადეს პროფეს. კავშირის მიერ დამტკიცებულ კოლექტიურ ხელშეკრულების ხელის მოწერაზე. ამის გამო გამგეობამ დაადგინა აცნობოს სახელოსნოების მეპატრონეთ, რომ თუ ისინი არ მოაწერენ ხელს კოლექტიურ ხელშეკრულებაზე, მაშინ მუშები გაფიცვას გამოაცხადებენ. ასეთმა დაქადნებამ მოახდინა გავლენა და ზოგიერთ სახელოსნოების მეპატრონეებმა უკვე მოაწერეს ხელი პროფ. კავშ. მიერ შემუშავებულ ხელშეკრულებას.

დახმარება მოუსავლოგით დაზარალებულთ.

შინაგან საქმეთა სამინისტროში, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის ჭიჭინაძის თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი მომარაგების და მიწათ მოქმედების სამინისტროების წარმომადგენლების მონაწილეობით. თათბირზე განიხილეს საკითხი წარსულ წლის მოუსავლობით დაზარალებულ მაზრების მცხოვრებთათვის დახმარების შესახებ. თათბირს დაესწრენ აგრეთვე მომარაგების მინისტრი, გენერალ-გუბერნატორი კ. სულაქველიძე, გორის, ქუთაისის, ლეჩხუმის და სხვა მაზრების წარმომადგენლები. თათბირზე გამოიტანეს დადგენილება, რომ მომარაგების სამინისტროს ხელში იმყოფება ხორბლის საგრძნობი მარაგი, მაგრამ მომარაგების სამინისტროს შეუძლია მისცეს მცხოვრებთ ფუთი 850 მან. მხოლოდ ფასდაღებით. საკითხის ყოველმხრივი განხილვის შემდეგ თათბირი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სასურველად სცნო მიეცეს მომარაგების სამინისტროს, იმის უფლება, რომ მოუსავლოებით დაზარალებულთ მიჰყიდოს ფუთი პურის ხორბალი 400 მან. იმ პირობით, რომ ზარალი გამოწვეული ასეთი ოპერაციით ჩარიცხული იქნეს ხაზინის ანგარიშში. დაადგინეს თათბირის მიერ ასეთი სურვილის გამოთქმა აცნობონ მთავრობას.

ქალაქთა კავშირში

4 ივნისს ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის თავმჯდომარის ნ. ელიავას თავმჯდომარეობით შესდგა კომიტეტის მორიგი სხდომა. სხდომაზე კომიტეტის წევრმა კ. კალანდარიშვილმა აღძრა ჯერ კიდევ გადაუჭრელი საკითხი ქუჩების გასაფართოებლად მიწების ჩამოჭრის შესახებ. ამავე საკითხის შესახებ კომიტეტის წევრმა ვ. შარაშენიძემ, რომელიც ითვლება ამ საკითხის ინიციატორად განაცხადა, რომ ფრიად მნიშვნელოვანია ამ საკითხის პრინციპიალურად გადაწყვეტა. ვინც გაცნობილია საქართველოს ქალაქების ცხოვრებას, ის დამეთანხმება, რომ საჭიროა ბოლოს და ბოლოს ქუჩების მოწყობა, ვინაიდან თუ ეს ეხლავე არ იქნა გაკეთებული, შემდეგ აღარ იქნება არავითარი საშუალება მათ შესაკეთებლად, ვინაიდან ქალაქს არ აქვს საამისო სახსარი. მიწების ჩამორთმევა უნდა ხდებოდეს უფასოთ, ხოლო ანაზღაურებას მიიღებენ ჩამორთმეულ შენობების და სახლების მეპატრონეები.

საკითხის საუკეთესო გადასაჭრელათ უბანში მიწების გადაყოფა და ამ მოწესრიგების გამო დაზარალებულთადმი სამაგიერო ჯილდოს მიცემა მეზობელ მესაკუთრეთა ხარჯზე მათი მიწის მფლობელობის პროპორციის და მიხედვით. საკითხს სხვაგვარი გადაჭრა საქმეს ვერ უშველის. კომიტეტის წევრმა კალანდარიშვილმა აღნიშნა, რომ ქუჩების მოწესრიგების საჭიროება არის არა თუ ახალ, არამედ ძველ ქალაქებშიც, როგორც მაგ. ტფილისსა და ქუთაისში. ამ საკითხის გადაჭრა ძნელია, რადგან შეუძლებელია ყველა ქალაქში ეს საკითხი ერთი შაბლონით გადაიჭრას. ქუჩების მოწესრიგების საკითხთან შეკავშირებულია მთელი წყება სერიოზული საკითხებისა, როგორც მაგ. სახლების დანგრევა და სხვ. მოწესრიგების ასეთი უფლება არ შეიძლება კანტროლის გაუწევლად ადგილობრივ თვითმართველობათ მიენიჭოს. საჭიროა კანონმდებლობითი ორგანოს კანტროლი. კამათის შემდეგ მოკლე რეზიუმე გააკეთა კომიტეტის თავმჯდომარე ელიავამ, რომელმაც აღნიშნა: ვ. შარაშენიძისა და სხვათა წინადადებაა: ქალაქებს მიეცეს უფლება იძულებით ჩამოართვან მიწა ქალაქში მყოფ პატარა მდინარეთა მოსაწესრიგებლად და ქუჩების კანონიერ მინიმუმამდე გასაფართოებლად იმ მესაკუთრეებს, რომელთა ადგილი ამ ქუჩებსა და მდინარეებს ესაზღვრება—ამ ადგილების გადაყოფით ყოველი მესაკუთრის ადგილის სიდიდის პროპორციის და მიხედვით.

მთავარი კომიტეტი დაეთანხმა ამ წინადადებას. საკითხის ტეხნიკური დამუშავება მიენდო აღმასრულებელ ბიუროს.

ამავე სხდომაზე დაადგინეს აღძრან საკითხები: აფთიაქების მუნიციპალიზაციის, მუნიციპალურ პოლიტიკის, ქალაქთა საბიუჯეტო უფლების და სხვ. შესახებ. ყრილობაზე მომხსენებლად დანიშნულნი არიან: მუნიციპალურ პოლიტიკის შესახებ ბ. ჩხეიძვიშვილი. „კომუნა და სახელმწიფოს“ შესახებ კი ქუთაისის ქალაქის თავი დ. თოფურიძე.

ფინანსიურ-ეკონომიური ცხოვრება

თამბაქოს ფაბრიკანტების შუამდგომლობა.

თამბაქოს ფაბრიკანტთა კავშირმა აღძრა შუამდგომლობა ფინანსთა სამინისტროს წინაშე გადასინჯულ იქნეს სააქციზო გადასახადების რაოდენობა და უუდიდესი ფასები თამბაქოს ნაწარმოების იმ ხარისხებზე, რომელსაც არ შეხებია 1920 წ. 6 აპრილის დეკრეტი და აგრეთვე იმ ვალდებულობის შეცვლის შესახებ, რომელიც აიძულებს მათ მესამე ხარისხის პაპიროსის საერთო წარმოების 10 პროც. დამზადებას.

ფინანსთა სამინისტრომ ეს შუამდგომლობა გადასცა განსახილველად სააქციზო გადასახადების შემკრების მართველს, რომელმაც უნდა განიხილოს იგი თამბაქოს ფაბრიკანტთა წარმომადგენლებთან ერთად.

ფაბრიკანტთა კავშირი თავის შუამდგომლობაში აღნიშნავს, რომ ვინაიდან ამ ჟამად ნედლ თამბაქოს ფასებმა ძლიერ აიწია და აგრეთვე მუშის ხელფასი და ქაღალდი გაძვირდა ყოვლად შეუძლებელი ხდება თამბაქოს ნაწარმოების დაწესებულ ფასებში გაყიდვა. ამიტომ ფაბრიკანტები იძულებულნი არიან ან სრულიად შესწყვიტონ ასეთი ხარისხის თამბაქოს კეთება, ანდა დაარღვიონ კანონი და გაყიდონ იმ ფასებში უფრო ძვირად, რომლებიც აღნიშნულია ეტიკეტებზე.

სწორედ ამიტომ საჭიროდ სთვლის მეთამბაქოეთა კავშირი სააქციზო გადასახადი, გადასახადის რაოდენობის და უმაღლეს დაწესებულ ფასების გადასინჯვას თამბაქოს ზოგიერთ ნაწარმოებზე, სახელდობრ მესამე ხარისხის (15 მან. გირვანქა), მე-2 ხარისხი (20 მან. გირვ.), 1 ხარისხის (25 მან. გირ.) და მესამე ხარისხის პაპიროსზე (36 მან. ათასი), მეორე ხარისხის (44 მ. ათასი) და პირველ ხარისხის (52 მან. ათასი).

ელექტრონის სადგური.

ტეხნიკურ კომიტეტის პრეზიდიუმის უახლოეს სხდომაზე განხილული იქნება საკითხი იმ კრიზისის შესახებ, რომელიც ახლოვდება ელექტრონის ენერგიის მიღების საქმეში. ტეხნიკური კომიტეტი აღნიშნავს, რომ სპეციალური მანქანები არა თუ განახლებულან ომის დროს, არამედ არც შეკეთებულან ასე როგორც საჭირო იყო, ვინაიდან შეუძლებელი იყო, სამარქაფო ნაწილების შემოტანა. ამ ჟამად მომაძრავებელთა გამოცვლა შეუძლებელია მათი საოცარი სიძვირის გამო. თავის თავად ცხადია, რომ საათში კილოვატის ღირებულების საჭირო დონემდე აყვანა განუზორციელებელია, ვინაიდან ამ შემთხვევაში მომხმარებელნი იძულებულნი იქნებიან სულ უარი განაცხადონ ელექტრონის ხმარებაზე. მდგომარეობას უფრო ართულებს მატერიალისათვის საჭირო სათბობ მასალის მოწოდების სიძნელე. ამიტომ ტეხნიკურ კომიტეტს უნდა აღძრას საკითხი უფრო მიზანშეწონილი იქნება თუ არა, რომ უარი ვთქვათ არსებულ ელექტრონის სადგურის ტიპის არსებობაზე და გადავიდეთ გიდრო-ელექტრონის სადგურის მოწყობაზე.

ბირჟა.

სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ დადგენილია შემდეგი საბირჟო ბიულეტენები: სტერლინგი-ბანკნოტი 1.340, ჩეკი 1.260 მ. ფრანგული ქაღალდების ფრანკი 25, ჩეკი—22½, იტალიის ქაღალდის ლირა 16.25, ჩეკი 16, ოსმალეთის ოქროს ლირა 1.600, ქაღალდის 300, ჩეკი 290, ამერიკის ქაღალდის დოლარი 325, ჩეკი 300, გერმანიის ქაღალდის მარკა 7, ნიკოლოზის ოქროს 10 მან.—1850 მან. ქაღალდის 100 მ.—350 მ., 500 მ. 1.500—1.800 მ., ვერცხლის მანეთი—130 მ.

მანქანის ზეთის გაყიდვა აკრძალვა

ტფილისის გენერალ-გუბერნატორის მიერ გამოცემულია განკარგულება, რომლის ძალით: 1) საზოგადო და კერძო დაწესებულებათა, სავაჭრო წარმოებათა, ამხანაგობათა გამგეებმა, სახელოსნოების პატრონებმა და აგრეთვე კერძო პირებმა, ვისაც კი აქვს მანქანის ზეთი, ან ბენზინი ამ განკარგულების დღიდან გამოქვეყნებისა, ვალდებულნი არიან სამი დღის განმავლობაში წარმოადგინონ ყველა მასალები აღსაწერად. 2. სახაზინო, სამოქალაქო და სამხედრო დაწესებულებანი ვალდებულნი არიან დასახელებულ ვადაში წარმოადგინონ ყველა ცნობები სათბობი მასალის განმანაწილებელ ბიუროში. 3. კერძო საწყობებს და სავაჭრო დაწესებულებებს, ტფილისის ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილების მიერ აღწერილ ბენზინის, გორგელის და მანქანის სხვა ზეთის გაყიდვა შეუძლია მხოლოდ იმ დაწესებულებებს, რომელნიც აღნიშნულნი იქნებიან სათბობის განმანაწილებელ ბიუროს მიერ. გაყიდვა შეიძლება სასურსათო განყოფილების განსაკუთრებულ ორდერებით და იმ ფასებში, რომელსაც დააწესებს ქალაქის თვითმართველობა. აღნიშნულ მასალის კერძო გაყიდვა აკრძალულია. 4. მთავრობის დაწესებულების თითო ავტომობილს მიეცემა დღე-ღამეში არა უმეტეს ნახევარი ფუთი ბენზინისა. შენიშვნა: მთავრობის და საზოგადოების გამგეები ვალდებულნი არიან მიაწოდონ სათბობის გამწესრიგებელ ბიუროს სია მომუშავე ავტომობილებისა. 5. ის პირი ვინც დაარღვევს აღნიშნულ სავალდებულო დადგენილებას, დაპატიმრებულ იქნება 3 თვით ადმინისტრატიული წესით, ან გადაიხდის 25.000 მან. ჯარიმას.

ფულის ტრიალის რეფორმა

შაბათს ფინანსთა სამინისტროში შესდგება პირველი კრება კომისიისა იმ საკითხების განსახილველად, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ფულის ტრიალის რეფორმასთან. განიხილავენ ფინანსთა მინისტრის საბჭოს წევრის ე. კოზლოვსკის მოხსენებას, რომელიც სამი ნაწილისაგან შესდგება:

1) არსებულ ქაღალდის ფულის ტრიალის დეფექტები, 2) ფულის რეფორმის რაობა და 3) მომავალი ფულის სისტემა.

კახეთი

ნაფარეულის რაიონი.

ძნელი სათქმელია ის უბედურება, რაც სტიქიონის ძალამ მიაყენა სოფ. ნაფარეულის რაიონს. მთელი მაზრის ერთი დიდი ნაწილი, სოფ. შაქრიანიდან დაწყობილი 10—15 ვერსის მანძილზე თვით ფშავლის შუაგულამდე მიწასთან გაასწორა იშვიათმა სეტყვამ, რომელიც 25 მაისს მთელი სამი საათის განმავლობაში მოდიოდა და რომ იტყვიან ხე ხეზე აღარ დასტოვაო სწორედ ასე მოუვიდა.

ვენახებში მარტო ჭიგოები.ღა ურჭვია, ყანა, სიმინდი, ბოსტანი სულ ერთიანად ისე გაოხრა, რომ ველარაფერს გამორჩება გლეხი კაცი. ან რა გადარჩებოდა როცა ფურცელზე ფოთოლი აღარ დააყენა, ისე რომ აბრეშუმის ჭია ბევრმა წყალში გადაყარა და ზოგს კი 15 ვერსიდან მიაქვს ფოთოლი.

მთელი გომურები და დაბალი სახლები წყლით აივსო და ბევრი საქონელი დაახრჩო წყალმა. რომელი ერთი იჩივლოს კაცმა სარჩოსაბადებელი, ჭირნახული, საქონელი თუ სხ.

ერთი სიტყვით ასეთი იშვიათი უბედურება და დიდი სეტყვა როგორც ამ რაიონში იყო 25 მაისს იშვიათად ახსოვს ვისმე.

ამ რაიონში სულ მთლად გაანადგურა სეტყვამ და ქარიშხალმა შემდეგი სოფლები: ნაფარეული, სანიორე, ართანა, ფშაველი და შაქრიანის ერთი მხარე. მცხოვრებთ საჩქაროდ შველა და დახმარება უნდოდათ და სწორედ ეხლა გაიგო ყველამ, რომ ის აღარ არის, რაც წინედ იყო, როცა აქედან ტფილისში მისწერავდნენ, იქიდან ერთი თვის შემდეგ გამოგზავნიდნენ ქაღალდს და მარტო ცნობების შეკრეფით კმაყოფილდებოდნენ ძველი რეჟიმის მოხელენი. ამის მაგივრათ მათ ჰყავთ იქვე ახლოს ისეთი ორგანო, რომელსაც გული შესტკივა და პატრონ-მხრუნველობას არ დააკლებს საჭიროების დროს—ეს თელავის სამაზრო ერობაა.

სეტყვის მეორე დღესვე ადგილობრივ გაემგზავრა ერობის გამგეობის წევრი ს. დანდუროვი, აგრონომით და ინსტრუქტორებით, რომლებმაც შემოიარეს მთელი სოფლები და დაწვრილებით მოხსენება გაუკეთეს გამგეობას, ხოლო ადგილობრივ მოახდინეს საჭირო განკარგულებანი, რომ საჩქაროდ დაეხნათ დასეტყვილი ყანები, ხელმეორეთ სიმინდის დასათესად.

გამგეობის დავალებითვე გამ. წევრი ს. დანდუროვი ხელმეორედ გაემგზავრა გაღმა სოფლებში სათესლე სიმინდის შესაძენად ნაფარეულის რაიონისთვის. ეხლა ბ. დანდუროვი ყვარლის რაიონში ყიდულობს სიმინდს და უგზავნის დასეტყვილ სოფლებს დასათესად.

ამით დიდი საქმე გაკეთდა და ცოტათ მაინც შეუმსუბუქდება ის სიდუხჭირე, რომელიც მათ სეტყვამ მიაყენა.

წინანდლის რაიონი.

ერობის სოფლის სკოლებში სწავლა 12

ივნისში თავდება. ამის გამო თელავის ერობის გამგეობის წევრი კ. სეხნიაშვილი ამ ჟამად ათვალიერებს და გაკვეთილებზე ესწრობა ქვემო სოფლების სკოლებში.

ს. ურიათუბანში ყოფნის დროს მას შეუნიშნავს, რომ ბალღები წიგნებით ხელში სადღაც მიდიან, უკითხავს და აუხსნიათ, რომ ეგ სომხის სკოლის შეგირდები არიანო. საქმე ის არის, რომ არავინ იცის, არც ერობამ არც სხვა ვინმემ ურიათუბანში სომხის სკოლა არსებობს თუ არა. კ. სეხნიაშვილი წასულა ამ სკოლაში და დახვედრია მასწავლებელი ქალი სომეხი, რომელსაც უპასუხნია, რომ ეს სკოლა სომეხთა ეროვნულმა საბჭომ გახსნა თებერვალშიო. თვით ეს მასწავლებელი სომეხი ყოფილა თუმცა რუსული ძლივს ულაპარაკნია, მაგრამ უთქვამს ტფილ. გიმნაზიელი ვარო, ქართული ერთი სიტყვაც არა სცოდნია. ბავშვებმა სომხური არ იციან და მუნჯური მეთოდით ასწავლის თურმე.

ეს ფაქტი კომენტარიებს არ საჭიროებს.

ვან—დალი.

ღია რედ. მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ შემდეგს: „საქ. რეს.“ № 78-ში (1920 წ. 7 აპრილს) დაბეჭდილი იყო ჩემი ანგარიში გორში დაზარალებულთა სასარგებლოთ ჩემდამი რწმუნებულ პედაგოგიურ საბჭოთა მიერ 1920 წლის 6 მარტს გამართულ საღამოსი, რომელმაც დატოვა წმინდა შემოსავალი 67.438 მანეთი.

ამასთან როგორც ხსენებულ ანგარიშში იყო ნათქვამი, საღამოდან დარჩა კიდევ შემოწირულებანი, რომლებიც, საბჭოს დადგენილებით, ქალაქის გამგეობისგან ნაჩვენებ ფასებში გაიყიდა. ამნაირად დამატებით შემოვიდა 11755 მანეთი. მოსწავლეებმა შეაგროვეს 766 მანეთი. ამასთან გიმნაზიის მასწავლებლებმა დაადგინეს სამი თვის განმავლობაში ეხადნათ ჯამაგირების 2%, რომელმაც მარტისა, აპრილისა და მაისის თვეებში შეადგინა 4.555 მანეთი.

სულ დამატებით 6 მარტის საღამოდან გაყიდულ ნივთებიდან და მასწავლებლებისა და მოსწავლეებისგან შემოვიდა 17.076 მანეთი. წინანდელ 67.438 მანეთთან დამატებითი 17076 მან- შეადგენს 84.514 მანეთს.

ფული გადაეცა ფოთში არსებულ გორის დამხმარე კომიტეტს, რომლის თავმჯდომარეა ქალაქის თავი ბ. ალ. კორძაია.

ფოთის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორი

მ. ვ. კინწურაშვილი

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

ქუთაისის ქალაქ-ს მილიციის სამმართველო თანახმად ქრისტეფორე ონისიმეს ძე ასათიანის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების და პირადობის მოწმობა, სთხოვს მპოვნელს აღნიშნული საბუთებისა წარმოადგინოს მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლათ კუთვნილებისამებრ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულათ ჩაითვალოს. 549 3—3

დაიკარგა სიმწიფის მოწმობა № 199, მიღებული ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიიდან ეგიშე ხაჩატურის ძე შახბაგოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1285 3-

---

დაიკარგა პასპორტი № 42 ევგენია ალ. აკინფიევის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტის სამმართველოდან 1917 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. უფ. 3-3

დაიკარგა ტფ. პირველი კერძო ლომბარდის ბარათი № 79144 სამასი მანეთის ღირებულების, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1346 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი გონჩარის ქუჩაზე, № 50, მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის დმიტრიევს. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1348 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 18793 ისაკი ესტატეს ძე ღულუნაძის სახელზე, მიღებული ტფ. სალაქის მილიციის უფროსისაგან, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1361 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა ნატალია სერგოს ასული ბოჩაროვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1364 3—3

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველო თანახმად ონისიმე პეტრეს ძე სულავას განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს ბაშფორთი, მიცემული ქუთაისის ქალაქის პოლიციის სამმართველოდან 1909 წ. და სამსახურის აღნუსხვის მოწმობა მიცემული ქუთაისის სახაზინო პალატიდან, სთხოვს მპოვნელს აღნიშნული საბუთებისა წარმოადგინონ მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლათ კუთვნილებისამებრ ქალაქ ქუთაისის მილიციაში, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულათ ჩაითვალოს. 548 1—1

დაიკარგა პასპორტი ლევ ლეონტის ძე როზენ ფელდის სახელზე, მიღებული პავლოგრადის (ეკატერინოსლოვის გუბ.) მდებარე მოქალაქეთა სამმართველოდან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1411 3—1

დაიკარგა პასპორტი სოლომონ სოლომონის ძე, ლანდაუს სახელზე, მიღებული ნიდერლანდიის გენერალურ საკონსულოდან ქ. კონსტანტინოპოლში 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1398 3—1

დაიკარგა 1. პასპორტი ივანე ნაზარეს ძე ათაბეგიანცის სახელზე, მიღებული ვილნოკოვნოს სახელმწიფო მამულთა სამმართველოდან 1914 წ. და 2. პილდეგორდ იულიას ასული ათაბეგიანცის სახელზე, მიღებული ჩერკასის (კიევის გუბ.) სამაზრო პოლიციის სამმართველოდან. 1903 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1404 3—1

დაიკარგა გორის სამოქალაქო სასწავლებლის დამთავრების ატესტატი ფილიმონ ნიკოლოზის ძე კიკნაძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1368 3—1

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი ივანე და სოფიო გვარამაძეების სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქ. სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ 1917 წ. რეესტრით № 3370, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1371 3—1

დაკარგულია პირადობის მოწმობა, მიღებული საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელისაგან ქ. ბაქოში 1919 წ. სამხედრო ბეგრიდან თავისუფლობის მოწმობა, მიღებული, შორაპნის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, და სამთოშტეიგერობის წოდების მოწმობა, მიღებული კავკასიის სამთო სამმართველოდან ილია (ილიკო) სპირიდონის ძე მხეიძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1383 3—1

ტფ. სამიტროპოლიტო სასამართლოში მარიამ ივანეს ასულმა მელნიკოვისამ შემოიტანა თხოვნა, რომ მისი ქმარი პეტრე კუზმას ძე მელნიკოვი, რომელზედაც მან ჯვარი დაიწერა 1913 წ., უკვალოდ დაიკარგა 1915 წლის გამო აღნიშნული ცოლი მისი მარიამ ივანეს ასული მელნიკოვისა ითხოვს მისგან განქორწინებას. ყველა, ვინც კი იცის პეტრე კუზმას ძის მელნიკოვის მისამართი, ვალდებულია „საქართველოს რესპუბლიკაში“ არსებულ კანონთა ძალით, სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემო ხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა ორი თვის განმავლობაში. 1322 3—3

მე მეხუთე უბნის უფროს მილიციონერმა სოფრომ კალანდარიშვილმა დავკარგე თავის პირადობის მოწმობა, მოცემული ქ. ტფ. მილიციის უფროსის მიერ. გთხოვთ ჩათვალოთ გაუქმებულად. 1311 3—3

სააქციზო სამმართველო ამით აცხადებს, რომ ღვინის სარდაფის პატრონს ნიკოლოზ გეურქის ძე ტერტეროვს ქალაქ ტფილისში 1 საკომისარო უბანში, წყნეთის ქუჩ. № 34 დაუკარგავს ღვინის შეძენის მოწმობა, მიცემული სააქციზო სამმართველოს მიერ 1920 წ. 19 აპრილიდგან 1890 №-ით, მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1347 3—3

დაიკარგა პასპორტი, მიღებული სომხეთის მთავრობიდან და მეტრიკული ამონაწერი, მიღებული სოფ. მოსესკანთის მღვდლისაგან სანტურ ოგანესის ძე აკოფოვის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1359 3—3

ასატურ ზურაბის ძე მადატოვი ამით აცხადებს, რომ ყველა ვექილობანი, მიცემული მისდამი ყაზარ სუკიასის ძე ბეკჩიანცის და მარკარ ოგანეზის ძე ტერ-არუტიუნიანცის სახელზე გაუქმებულია. 1288 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი № 375 დიმიტრი დავითის ძე წერეთელის სახელზე, მიღებული ქუთაისის ქალაქის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1333 3—3

დაიკარგა მოწაფეების მოწმობა, მიღებული გორის საოსტატო სემინარიიდან და სამხედრო ბეგარის 1920 წ. მორიგ გაწვევის უწყება, გორის საოსტატო სემინარიის მოწაფის ანდრია მჭელის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1334 3—3

დაიკარგა პასპორტი დარია მირიანის ასული ნანეიშვილის სახელზე, მიღებული ქუთ. თავადაზნაურია საბჭოს სამამართველოდან 1917 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1354 3.3

დაიკარგა უვადო პასპორტი, მიღებული ქ. ახალციხეთის თვითმმართველობიდან და მეტრიკული ამონაწერი, მიღებული ქ. ახალციხეთის მღვდლისაგან ორივე საბუთი გეურქ ავეტის ძე დილანიანცის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1356 3—3

დაიკარგა „მოუზერის“ სისტემის რევოლვერის და გერმანიული ვინტოვკის ტარების ნებართვა № 6988 ვასილ ნემსაძის სახელზე, მიღებული შინაგან საქმეთა სამინისტოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1358 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა № 1051 აბესალომ პავლეს ძე ცუხიშვილის სახელზე, მიღებული შორაპნის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან 1918 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1360 3—3

დაიკარგა პასპორტი № 972 გიო-რგი სოლომონის ძე საკევრაშვილის სახელზე, მიღებული ტფილისის მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოდან 1916 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1379 3—3

დაიკარგა მოწმობა № 539 ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე გრეჩუნოვიჩის სახელზე, მიღებული რუსების ნაციონალურ საბჭოდან 1920 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1372 3—3

დაიკარგა მემკვიდრეობის მოწმობა № 852 მარიამ, არმენაკ და არტემი ტერ-მაკაროვების სახელზე, მიღებული მე-20 უბნის მომრიგებელ მოსამართლისგან. 1376 3—3

დაიკარგა პასპორტი მარიამ ანისიმის ასული ლისეჩენკინის სახელზე, მიღებული ყარსის თვითმართველობისაგან 1920 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1377 3—3

დაიკარგა ვადა გასული პასპორტი № 531, მიღებული მენაშე შ. გრინშტეინის მიერ ტუჩინოს სოფლის სამმართველოდან (ვოლინის გუბ., როვენის მაზრა) 1916 წ. ივლისის 1-ს. 1338 3—3

დაიკარგა პასპორტი № 142 ევგენია ვასილის ასული სეუს სახელზე, მიღებული კოპაჩანის ოლქიდან (ბესარაბიის გუბერნია) 1917 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1392 3—3

დაიკარგა ხონის საოსტატო სემინარიის გათავების მოწმობა და მეტრიკული მოწმობა პორფირე სისოს ძე წირქვაძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1339 3—3

განსაკუთრებულ ვაჭრობის დაწესებულებაში

გზა-ტკეცილების სამმართველოს მე-5 და მე-6 დისტანციების უფროსის კანცელარიაში, ქ. ქუთაისში (ძველი ტფილისის ქუჩა, სახლი გამყრელიძესი) ივნისის ცხრამეტს 1920 წ., შუადღის 12 საათზე, დანიშნულია, შეჯიბრების დაუშვებლათ (безъ переторжки), საჯარო ვაჭრობა ზეპირი და დაბეჭდილი განცხადებებით, რომლითაც იჯარით გაიცემა: დამზადება და დადგმა 109 კუბ. საჟ. ღორღისა წვრილ შესაკეთებლად მე-4—11, მე-15—25 და მე-28 ვერსზე სამხედრო-ზენარის გზაზე, მე-5 დისტანციის რაიონში, ჯამით 815.552 მან.

სამუშაო უნდა დამთავრდეს სამი თვის განმავლობაში იმ დღიდან, რომლიდანაც მიეცემა მუშაობის განწესი (нарядъ).

შედეგი ვაჭრობისა დამტკიცებულ უნდა იქმნეს გზა-ტკეცილების სამმართველოს მიერ.

მოხსენებულ სამუშაოს პირობები, აგრეთვე ტეხნიკური საბუთები შეიძლება გასინჯულ იქმნენ, როგორც გზა-ტკეცილის სამმართველოში ქ. ტფილისში, სერგიევის ქუჩა № 8 აგრეთვე მე-5 და მე-6 დისტანციების უფროსის კანცელარიაში ქ. ქუთაისში, ყოველ დღე კვირა-უქმე დღეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. 635 1—1

საქართველოს სახაზინო რკინის გზათა მმართველობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ა. წ. 21 ივნის დილის 10 საათიდან ტფილისის ცენტრალურ საწყობში გაიყიდება გაუტანელი ტვირთი და ბაგაჟი.

ტვირთი: ლანჩხუთიდან—გორი № 8445 (გამგზავნელი ქვეტაშვილი—მიმღები ნ. ჯაფარიძე) 1 ვაგ. შეშა წონ. 280 ფ. ტფილისიდან—გორი № 604801 (გამგზავ. ა. სიმონიანცი—მიმღები ს. მეჩიტოვი) 1. ც. ლუდი წონ. 5 ფ. 20 გ.

ბაგაჟი: ტფილისიდან—ქუთაისი № 106105 4 ც. წონ. 17 ფ. 20 გ. გელათიდან—ქუთაისი № 1565 1 ც. 9 გ. ხეთიდან—ქუთაისი № 1083 1 ც. 13 გ. ფოთიდან—ქუთაისი № 86275 1 ც. 1 ფ. 20 გ. ტფილისიდან—გორი № 103261 2 ც. 4 ფ. 30 გ. ბაკურიანიდან—გორი № 7671 1 ც. 3 ფ. 35 გ. ტფილისიდან—ქუთაისი № 606515 1 ც. 5 ფ. ბორჯომიდან—გორი № 13022 1 ც. 1 ფ. 20 გ. ტფილისიდან—გორი № 602996 2 ც. 3 ფ. 5 გ. ბორჯომიდან—გორი № 54015 3 ც. 10 ფ. ბათომიდან—სამტრედია № 25932 3 ც. 20 გ. ქუთაისიდან—ტფილისი № 42847 1 ც. 2 ფ. განჯიდან—ტფილისი № 1659 2 ც. 10 ფ. 10 გ. გომიდან—ტფილისი № 15744 1 ც. 20 გ. სადახლოდან—ტფილისი № 14020 1 ც. 18 გ. სურამიდან—ტფილისი № 18486 4 ც. 6 ფ. ზესტაფონიდან—ტფილისი № 59556, 1 ც. 2 ფ. აბაშიდან—ტფილისი № 45657 1 ც. 15 გ. ზესტაფონიდან—ტფილისი № 59268 1 ც. 1 ფ. 30 გ. სუფსიდან—ტფილისი № 15163 1 ც. 30 გ. რიონიდან—ტფილისი № 9123 1ც. 15 გ. გორიდან—ტფილისი № 260244 1 ც. 2 ფ. 35 გ. ახალსენაკიდან ტფილისი № 261261 5 ც. 2 ფ. 30

ფასიანუთო ბაგაჟი: აქტით სად. ტფილისი № 181 8 ც. 9 ფ. აქტ. № 151 1 ც. 1 ფ. 35 გ. აქტ. № 156 3 ც. 3 ფ. აქტ. № 154 3 ც. 1 ფ. 3) გ. აქტ. № 149 1ც. 2 ფ. 30 გ.

უსაბუთო ტვირთი: 87 ც. ხე-ტყის ნაწარმოები წონ. 98 ფ. 636 1—1

საქართველოს რკინის გზათა სამმართველო

1920 წ. ივნისის 22-ს იწვევს კონკურენციას დახურულ განცხადებებით ბუფეტების, სავაჭრო კარვების და სადალაქოების იჯარით გასაცემად შემდეგ სადგურებზე: ხაშური და ბორჯომი—ბუფეტები 1, 2 და მე-3 კლასისა ცხელი საჭმელებით, ლანჩხუთში—ბუფეტი ცივი საუზმით, ხაშური—სავაჭრო კარავი და რიონი—სადალაქო, ამასთანავე ერთი სადგურის 1, 2 და მე-3 კლასის ბუფეტები და სავაჭრო კარვები მიეცემა არა ერთს, არამედ სხვა და სხვა მოიჯარადრეებს. განცხადებების შეტანა შეიძლება პირადათ, ან ფოსტით. განცხადებას დართული უნდა ქონდეს შემდეგ რაოდენობის წინასწარ საწინდარის კვიტანციები: ბუფეტისთვის 5.000 მან., კარავისთვის და სადალაქოსთვის—ხუთას-ხუთასი მანეთი. საწინდარი უნდა შეტანილ იქნეს სამმართველოს მთავარ კასაში, ან ერთ-ერთ სადგურის კასაში. იმ შემთხვევაში, თუ წინადადება მიღებული არ იქნა, პატრონი საწინდარს უკან მიიღებს. კონკურენციის შესახებ დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება ექსპლოატაციის ნაწილში 10—2 ს. 632 3—2

ევროპიულ-კავკასიურ სავაჭრო ბანკის საბჭო

ამით აცხადებს, რომ ბანკის გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე, მოსე ივლიანეს ძე სულუხია, გავიდა გამგეობის შემადგენლობიდან და არ ითვლება არც თავმჯდომარედ და არც გამგეობის წევრათ. გამგეობის თავმჯდომარედ იმყოფება პავლე იოსების ძე თუმანიშვილი. 638 1—1

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. აღმ. **გრიგოლ მაჭავარიანი.**